20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

2019 წლის 1 მარტი

№ 16

თბილისი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ"-ის (ს/ნ: 205274273) ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52–ე მუხლის „ა" და „დ" ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 12 ოქტომბრის N226/04 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა აქციებისა და ობლიგაციების ემისიის პროსპექტის და ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის" მე-3 და მე-4 მუხლების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის N73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის , მინიჭების ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის" მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის, მე–4 მუხლის მე–7 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ"-ის (ს/ნ: 205274273) ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი.

2. დამტკიცებული ემისიის საბოლოო პროსპექტის რეგისტრაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ"-ის (ს/ნ: 205274273) ახლად ემიტირებულ სასესხო ფასიან ქაღალდებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 2700603766.

4. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ"-ის (ს/ნ: 205274273) ახლად

ემიტირებული ფასიანი ქაღალდებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.

5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

კობა გვენეტაძე